



ARISTOTLE  
UNIVERSITY OF  
THESSALONIKI



ურთიერთგაგების მემორანდუმი  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა  
და  
თესალონიკის არისტოტელეს უნივერსიტეტს  
შორის

### I. პრეამბულა

თანამშრომლობის ხელშეწყობის ერთობლივი მიზნის შესაბამისად, თესალონიკის არისტოტელეს უნივერსიტეტი (საბერძნეთი) და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (საქართველო) აფორმებენ ხელშეკრულებას ორმხრივი თანამშრომლობის შესახებ, ინსტიტუციების პროგრამების განვითარების მიზნით. ისინი ერთობლივად შეიმუშავებენ და განახორციელებენ ღონისძიებებს საკუთარი შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით, რათა უკეთ ემსახურონ შესაბამის სამიზნე აუდიტორას საბერძნეთსა და საქართველოში. თანამშრომლობა ემყარება ინსტიტუციების საერთო ინტერესებსა და მათ რწმენას, რომ აღნიშნული კავშირი გააძლიერებს მათ ერთობლივ და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს.

### II. მიზნები

ამ კავშირის მიზანია განხორციელდეს გრძელვადიანი კოოპერაციული აქტივობები, რომელიც შეიძლება გულისხმობდეს შემდეგს, და არა მხოლოდ:

- 1) ცოდნის გაზიარება;
- 2) ერთობლივი კვლევებისა და საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება ორივე უნივერსიტეტისათვის რელევანტური მიმართულებებით;
- 3) სტუდენტების, თანამშრომლებისა და აკადემიური პერსონალისთვის გაცვლითი და პროფესიული განვითარების პროგრამების შემუშავება;
- 4) სემინარებისა და ვორკშოპების ჩატარება;
- 5) ახალი ტექნოლოგიებისა და მართვის ახალი მეთოდების გაზიარება;
- 6) დაფინანსების წყაროების მოძიება ერთობლივი აქტივობებისთვის, რომლებიც სასარგებლო იქნება თითოეული ინსტიტუციის სასწავლო, კვლევითი და განვითარების პროგრამებისათვის.

### III. პროგრამის მართვა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და თესალონიკის უნივერსიტეტი თანახმა არიან შეიმუშაონ და დაადგინონ პროგრამის განხორციელების ისეთი პირობები, რაც ორივე ინსტიტუციისთვის იქნება სასარგებლო.

ერთობლივი საქმიანობის დეტალები, მიღწეული შედეგების გამოყენების პირობები და კონკრეტული ვიზიტების, გაცვლისა და თანამშრომლობის სხვა ფორმებთან დაკავშირებული პირობები განისაზღვრება შესაბამისი ხელშეკრულებით კონკრეტული აქტივობისთვის.

ფინანსური საკითხები წყდება თითოეული შემთხვევისათვის ცალ-ცალკე და ასევე დამოკიდებულია ფონდების ხელმისაწვდომობაზე. თითოეული მხარე თანახმაა მოიძიოს

შესაბამისი ფინანსური რესურსები გაცვლითი პროგრამის და თანამშრომლობის მხარდასაჭერად. მხარეთა შორის ხელშეკრულების გაფორმება და გაცვლა უნდა ემყარებოდეს მეგობრობის, თანასწორობის და ურთიერთდახმარების პრინციპებს.

#### IV. ხელშეკრულების პირობები

მოცემული ხელშეკრულება ძალაშია ბოლო ხელმოწერის დღიდან და ძალაში რჩება ხუთი (5) წლის ვადით. ხელშეკრულება შეიძლება გაგრძელდეს იმ ვადით, რაც განისაზღვრება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით. ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია ერთ-ერთი ინსტიტუციის მიერ მეორე მხარესთან ერთი წლით ადრე გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე.

მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივობები გადაიხდება ყოველწლიურად შეთანხმების საფუძველზე, რის შემდეგაც განისაზღვრება შემდეგი სამომავლო გეგმები ყოველწლიურად.

#### V. მხარეთა ხელმოწერები

მხარეები უფლებამოსილი წარმომადგენლების სახით, ეთანხმებიან თანამშრომლობის ხელშეკრულების მოცემულ დებულებებსა და პირობებს.

თესალონიკის არისტოტელეს უნივერსიტეტის  
სახელით  
რექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
სახელით  
რექტორი

  
პროფ. პეროვლეს ჯ. მიტკას  


  
პროფ. გიგა ზედანია  


თბილისი, 8 მაისი, 2018